



2759-09-2-202003101625



N 09/2759

10/03/2020

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ არჩილ თალაკვაძეს

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის
კომიტეტის თავმჯდომარეს

ქალბატონ სოფიო კილაძეს

წინადადება

(საქართველოს კანონის პროექტის - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონისა და თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე)

ბატონო არჩილ,

ქალბატონო სოფიო,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს პარლამენტი იხილავს საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონის პროექტს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თაობაზე¹, ასევე თანმდევი ცვლილებების პროექტს სხვა კანონებში (N07-2/442, 03.02.2020); „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გვსურს წარმოგიდგინოთ მოსაზრებები განსახილველ კანონპროექტებთან დაკავშირებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული კანონპროექტის შემუშავების პროცესში, სახალხო დამცველის აპარატის მიერ რამდენჯერმე გაიგზავნა მოსაზრებები/კომენტარები როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, ისე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში. თუმცა მინიმალურად მოხდა მათი ასახვა, რაც მიუთითებს, რომ მსგავსი ჩართულობა ფორმალურია.

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის უზრუნველყოფა. მიმდინარე წლის 14 თებერვალს, შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებისა და აქტივისტების მიერ გავრცელდა განცხადება „შშმ პირთა უფლებების შესახებ“ კანონპროექტის თაობაზე.¹ მიუხედავად იმისა, რომ პროცესი 3 წლის განმავლობაში გრძელდებოდა, შშმ პირთა და სფეროში მომუშავე

¹<https://bit.ly/2Tfr3uc>

ორგანიზაციების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ არ იყო უზრუნველყოფილი მათი ეფექტიანი ჩართულობა, ცალკეულ შეხვედრებზე მათ მიერ გამოთქმული ან წერილობით მიწოდებული მოსაზრებები, უმეტესად არ იქნა გათვალისწინებული კანონპროექტის ინიცირებულ ვარიანტში. აღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, კანონპროექტზე მუშაობის პროცესი წარმართოს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის დებულებების შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების/მათი კანონიერი წარმომადგენლების და შშმ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით, მათ მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით, რისთვისაც მათ უნდა განესაზღვროთ გონივრული ვადები. ამასთან უზრუნველყოფილ იქნას პროცესის გამჭვირვალობა და მისაწვდომი ფორმატით წარმართვა.

კანონპროექტით აუცილებელია ცალკე ხაგზასმა სტრატეგიული დოკუმენტების, სერვისების, პროგრამების შემუშავების/შეფასების თუ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (არა მხოლოდ კანონით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმებისა და პროგრამების შემუშავებაში, არამედ ყველა თემატურად დაკავშირებულ პროცესში) შშმ პირთა/მათი კანონიერი წარმომადგენლების და ამ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფაზე, როგორც ცენტრალურ, ისე მუნიციპალურ დონეზე.

2. კანონპროექტის სტრუქტურა და რეგულირების სფერო. კანონპროექტი როგორც იურიდიული ტექნიკის, ისე თემატური მოწესრიგების კუთხით საჭიროებს დახვეწას. უმეტეს შემთხვევებში რეგულირება ატარებს დეკლარაციულ ხასიათს და არ ხდება კონკრეტული გარანტიების გაწერა. წარმოდგენილ დოკუმენტში ხშირად გამოყენებული ტერმინი „სახელმწიფო ხელს უწყობს“ უნდა შეიცვალოს ვალდებულების განმსაზღვრელი ტერმინოლოგიით.

რიგ შემთხვევებში მნიშვნელოვანი საკითხები რეგულირების მიღმა დარჩენილი. ამასთან, კანონპროექტით არ არის მოცული ყველა საჭირო პასუხისმგებელი უწყების/დაწესებულების როლი. ხარვეზის აღმოსაფხვრელად, ვფიქრობთ, ორი გზა არსებობს: 1) კანონპროექტის კონვენციის ფორმატის შესაბამისად ჩამოყალიბება და კონვენციით გათვალისწინებულ ყველა სფეროსთან მიმართებით დეტალური ვალდებულებების განსაზღვრა, ხოლო, გარდამავალი დებულებით სამოქმედო გეგმის შემუშავების ვალდებულების გაწერა და ამ გეგმით უწყებების/დაწესებულებების მოვალეობების გათვალისწინება; 2) არსებული სტრუქტურის შენარჩუნების შემთხვევაში ყველა პოტენციური ადრესატის მოცვა და თითოეულთან მიმართებით ფუნქცია-მოვალეობათა სრულყოფილად ასახვა. მათ შორის მნიშვნელოვანია დეტალურად გაიწეროს: საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, საგარეო საქმეთა სამინისტროების, პროკურატურის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის, სოციალური მომსახურების სააგენტოს, კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ვალდებულებები. ასევე, სამედიცინო და სხვა სერვისის მიმწოდებლების, მედია-საშუალებების, ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების და სხვა რელევანტური აქტორების როლი.

რეგულირების სფეროსთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია კანონპროექტი ცალსახად ეფუძნებოდეს შეზღუდული შესაძლებლობისადმი მიდგომის სოციალურ მოდელს. ამასთან, დოკუმენტი არ მოიცავს გაეროს კონვენციით განსაზღვრულ ყველა სფეროსა და სამიზნე ჯგუფს.

- კანონპროექტში არ კეთდება აქცენტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების საჭიროებებსა და ამ მიმართულებით სახელმწიფოს ვალდებულებებზე
- კანონპროექტი არ არეგულირებს კონვენციის მე-18 მუხლის შესაბამისად გადაადგილების თავისუფლებისა და მოქალაქეობის ჭრილში გასათვალისწინებელ საკითხებს
- კანონპროექტით არ არის დარეგულირებული ფსიქიკური ჯანმრთელობის კუთხით გასატარებელი ღონისძიებები, მათ შორის სტაციონარს გარეთ, თემზე დაფუძნებული სერვისების შემუშავების/გაფართოების ჭრილში
- ჯანმრთელობის კუთხით არსებულ სერვისებთან მიმართებით აუცილებელია ხაზგასმა სერვისების ყოველმხრივ, მათ შორის გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობაზე
- დისკრიმინაციის დაუშვებლობის ნაწილში (კანონპროექტის მუხლი 5) არ გვხვდება გონივრულ მისადაგებაზე უარის თქმის განმარტება

გარდა ამისა, როგორც ცნობილია გაეროს კონვენცია კანონის წინაშე თანასწორობის ნაწილში (კონვენციის მუხლი 12) აქცენტს აკეთებს მონაწილე სახელმწიფოების მხრიდან ყველა შესაბამისი და ეფექტური ზომის მიღებაზე, რათა მათ უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლება საკუთრების ფლობასა და მემკვიდრეობით მიღებაზე, საკუთარი ფინანსური საქმეების მართვაზე, საბანკო სესხების, იპოთეკური, სხვა ფინანსური კრედიტების თანაბარ მისაწვდომობაზე. უმჯობესი იქნება თუ აღნიშნული საკითხები კანონპროექტშიც აისახება.

3. ტერმინების შეცვლის საჭიროება. აუცილებელია კანონპროექტში და თანმდევი საკანონმდებლო აქტების ცვლილებებში გამოყენებული ტერმინები სრულ თანხვედრაში იყოს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს 2006 წლის კონვენციის მოთხოვნებთან/მიდგომებთან. მათ შორის, ტერმინი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“, ნაცვლად „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირისა“, ტერმინი „მისაწვდომობა“ „ხელმისაწვდომობის“ ნაცვლად. ასევე მნიშვნელოვანია შეიცვალოს კანონპროექტში გამოყენებული სიტყვა „შეღვათი“, რათა არ იქნას აღქმული როგორც სტიგმის გამაძლიერებელი და შეიცვალოს გათანაბრების შესატყვისი სხვა ტერმინით.

4. შშმ პირთა ორგანიზაციის განმარტება. მნიშვნელოვანია კანონპროექტში ჩაიწეროს შშმ პირთა ორგანიზაციის განმარტება. ასევე გაიწეროს გარკვეული გარანტიები (ეკონომიკური და სხვა სახის მექანიზმების გამოყენებით) სახელმწიფოს მხრიდან მათი ფუნქციონირების ხელშეწყობასთვის.

შშმ პირთა ორგანიზაციის განმარტებისა და მათი ჩართულობის საკანონმდებლო გარანტიების დადგენის დროს, საკანონმდებლო ორგანომ უნდა იხელმძღვანელოს გაეროს შშმ პირთა უფლებების კომიტეტის მე-7 ზოგადი კომენტარით, რომელიც მიღებულია 2018 წლის 9 ნოემბერს.²

5. განათლება. განათლების ნაწილში (მუხლი 7) არასაკმარისი გარანტიებია გაწერილი ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი შშმ პირების (ბავშვების) უფლებების რეალიზების კუთხით. კერძოდ, მნიშვნელოვანია მითითება უწყებებს შორის კოორდინაციის გაძლიერებაზე, შშმ პირთა (ბავშვთა) საჭიროებების შესწავლა/გათვალისწინებაზე, სტატისტიკური მონაცემების შეგროვების,

²<https://bit.ly/2TIGOOO>

მომიებისა და იდენტიფიკაციის მექანიზმების დანერგვაზე, ზემოთ დასახელებული პირებისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო სერვისების შეთავაზების მიზნით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და მუნიციპალიტეტების ვალდებულებების გამიჯვნის ჭრილში საჭიროებს ჰარმონიზაციას „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებებთან. მაგალითად, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის გადამზადების ვალდებულება, დასახელებული კანონით (მუხლი 10) ეკისრებათ მუნიციპალიტეტებს.

ასევე მნიშვნელოვანია მოცემულ მუხლით განისაზღვროს განათლების სავალდებულო ინკლუზიური ხასიათი სწავლების ყველა საფეხურზე.

6. სოციალური დაცვა. კანონპროექტის მე-14 მუხლის (სოციალური დაცვა) მიხედვით არ ხდება კონკრეტული გარანტიების გაწერა, შშმ პირთა სოციალური დაცვის მიზნით. გაურკვეველია რატომ ხდება მითითება მხოლოდ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონზე. აღნიშნული ფორმულირება და ბლანკეტური მითითება არ არის საკმარისი საკითხის დეტალურად მოსაწესრიგებლად. მნიშვნელოვანია მუხლი უფრო დაკონკრეტდეს და შესაბამისობაში მოვიდეს გაეროს კონვენციის 28-ე მუხლის მოთხოვნებთან (ცხოვრების ადეკვატური სტანდარტი და სოციალური დაცვა).

7. ინდივიდუალური მობილურობა. მნიშვნელოვანია კანონპროექტში მოხდეს ინდივიდუალურ მობილურობასთან (კონვენციის მე-20 მუხლი) დაკავშირებული საკითხების დეტალურად ინტეგრირება. მათ შორის: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გადაადგილების საშუალებების, მოწყობილობებისა და დამხმარე ტექნოლოგიების ფინანსური ხელმისაწვდომობა; ასევე მათი არჩევის შესაძლებლობა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის და მათთან მომუშავე სპეციალისტებისათვის მობილურობის უნარ-ჩვევების სწავლება; გადაადგილების დამხმარე საშუალებების, მოწყობილობისა და დამხმარე ტექნოლოგიების მწარმოებელი ორგანიზაციების მხარდაჭერა/წახალისება, მათ მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მობილურობის ყველა ასპექტის გათვალისწინებისთვის. ასევე ახალი ტექნოლოგიების გამოგონებისა და წარმოების წახალისების მექანიზმების ამოქმედება.

8. სტატისტიკა. სტატისტიკის წარმოებასთან დაკავშირებით უმჯობესია აქცენტი გაკეთდეს მაქსიმალურად სეგრეგირებულ სტატისტიკაზე როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე. გარდა ამისა, რეალური სურათის სრულყოფილად აღქმის მიზნით სტატისტიკური მონაცემების შეგროვება/შევისება უნდა ხდებოდეს სოციოლოგიური კვლევების შედეგებით. გაეროს კონვენციის 31-ე მუხლი ხაზს უსვამს როგორც სტატისტიკური, ისე კვლევითი მონაცემების მნიშვნელობას.

9. მისაწვდომობა. კანონპროექტის მიხედვით მისაწვდომობასთან (კონვენციის მე-9 მუხლი) დაკავშირებული საკითხები ხარვეზებით არის დარეგულირებული. კერძოდ, კონვენციის მიხედვით დადგენილი ტერმინის-„მისაწვდომი“, ნაცვლად გამოყენებულია ტერმინი ხელმისაწვდომი (კანონპროექტის მუხლები: 20, 27). გარდა ამისა, გამოყენებულია ტერმინი „ადაპტირება,“ რაც გულისხმობს უკვე არსებული ინფრასტრუქტურის, მასალების, სერვისისა თუ მომსახურებების შეცვლას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აქცენტი გაკეთდეს ფიზიკური გარემოს

თუ მომსახურებების არა მხოლოდ „ადაპტირებაზე“, არამედ უნივერსალური დიზაინის პრინციპით მოწყობაზე/შექმნაზე.

კანონპროექტის გარდამავალი დებულებების თანახმად, შენობა-ნაგებობების პროექტირება და მშენებლობა უნდა განხორციელდეს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად. დასახელებული რეგლამენტი მოძველებულია და არ შეესაბამება უნივერსალური დიზაინის პრინციპებს. 2020 წელს ცვლილებები³ შევიდა საქართველოს კანონში „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“, რითაც საქართველოს მთავრობის ვალდებულებად განისაზღვრა, 2020 წლის 12 მაისამდე დაამტკიცოს „ტექნიკური რეგლამენტი – მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“, რომელიც დაეფუძნება უნივერსალური დიზაინის სტანდარტებსა და პრინციპებს, „მისაწვდომი და გამოყენებადი შენობებისა და მოწყობილობების“ (ICC A117.1) სტანდარტების გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველი კანონპროექტის მისაწვდომობის მარეგულირებელი დებულებები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მოთხოვნებთან.

მისაწვდომობასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტი დეტალურად არ არეგულირებს შშმ პირთა ინფორმაციის, კომუნიკაციისა და სხვადასხვა სახის მომსახურებებზე წვდომის საკითხებს (მათ შორის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტი, მასმედია, ინტერნეტ რესურსები და სხვა). ოფიციალური ვებ-გვერდისა და აუდიო-ვიზუალური მასალების მისაწვდომობის ჭრილში გათვალისწინებულია მხოლოდ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვალდებულება, თუმცა ეს უკანასკნელი ყველა უწყებისთვის რელევანტურია.

10. გარდამავალი დებულებები. რაც შეეხება კანონპროექტით დადგენილ შესრულების ვადებს, მიგვაჩნია, რომ გარდამავალი დებულებებით განსაზღვრულია საკმაოდ ხანგრძლივი ვადები. შშმ პირთა საკითხებთან დაკავშირებული სფეროს სპეციფიკიდან და დინამიურობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ერთიანი სტრატეგიის ხანგრძლივობა 15 წლის ნაცვლად განისაზღვროს შემჭიდროვებული ვადით. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შეფასების ახალ სისტემაზე დროულად გადასვლას არსებითი მნიშვნელობა აქვს შშმ პირთათვის შესაბამისი სერვისებისა და მომსახურებების დანერგვისთვის, შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის მექანიზმის ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვასთან დაკავშირებით განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის დამტკიცებისთვის 2023 წლის 1 იანვრის ნაცვლად, მიზანშეწონილია განისაზღვროს უფრო შემჭიდროვებული პერიოდი.

11. ცვლილება „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში. თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებებით ორგანული კანონის მე-3 მუხლს ემატება 1² პუნქტი: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობს ადმინისტრაციული, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საჯარო

³ კანონი N5706-III-05.02.2020. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/2VmZpwH>>

დაწესებულებებისა და თანამდებობის პირების, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობას, უზრუნველყოფს მათ მიერ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე მონიტორინგს და კანონმდებლობით დადგენილი წესით რეაგირებას.“

როგორც ცნობილია, საქართველოს სახალხო დამცველი, 2014 წლის 27 ოქტომბერს, პრემიერ მინისტრთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო საბჭოს N6 სხდომაზე დასახელდა გაეროს შშმ პირთა უფლებების შესახებ კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგის მექანიზმად, ამავე კონვენციის 33-ე მუხლის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ორგანული კანონით გაიწეროს სახალხო დამცველის, არა მხოლოდ, როგორც ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაზე მონიტორინგისა და რეაგირების, არამედ როგორც გაეროს კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგის მექანიზმის ფუნქცია.

12. ცვლილება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში. წარმოდგენილი ცვლილების თანახმად კანონის მე-2 მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის 3³ პუნქტი: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო იღებს ყველა შესაძლო ზომას გონივრული მისადაგების უზრუნველსაყოფად“.

კანონის გამჭვირვალობისთვის და საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, უმჯობესი იქნება, თუ ანტიდისკრიმინაციული კანონის მე-2 მუხლის მე-3 ტერცია პუნქტში უარი გონივრულ მისადაგებაზე პირდაპირ მიეთითება, როგორც დისკრიმინაციის ფორმა, შემდეგი ფორმულირებით: *უარი გონივრულ მისადაგებაზე არის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაფერისი ცვლილებების განხორციელებაზე უარი, რაც არ განაპირობებს არაპროპორციულ ან გადამეტებულ ტვირთს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებებისა და თავისუფლებების სხვებთან თანასწორ პირობებში რეალიზებას.*

ანალოგიურად უნდა განიმარტოს მოცემული ტერმინი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მე-2 მუხლში (ტერმინთა განმარტება). კერძოდ, *„გონივრული მისადაგება - პრინციპი, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაფერისი ცვლილებების განხორციელებას გულისხმობს, რაც არ განაპირობებს არაპროპორციულ ან გადამეტებულ ტვირთს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებებისა და თავისუფლებების სხვებთან თანასწორ პირობებში რეალიზებას“.*

13. პატიმრობის კოდექსი. ნორმატიულ აქტში შესატან ცვლილებებთან ერთად კარგი იქნება თუ კოდექსში გაჩნდება ჩანაწერი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბრალდებულის/მსჯავრდებულისთვის შესაბამისი პირობების შექმნის ვალდებულების უზრუნველსაყოფად, რათა მათთვის შესაძლებელი იყოს ყველა იმ გარანტიით/უფლებით დაუბრკოლებლად სარგებლობა (მაგ.: მიმოწერა, გასეირნება, ზოგადი და პროფესიული განათლების მიღება, სპორტულ, კულტურულ, აღმზრდელობით და რელიგიურ ღონისძიებებში მონაწილეობა და ა.შ), რითაც სხვა ბრალდებულები/მსჯავრდებულები

სარგებლობენ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია როგორც ინფრასტრუქტურის, ისე სხვა სერვისების მისაწვდომობა უნივერსალური დიზაინის მოთხოვნებისა და გონივრული მისადაგების პრინციპის გათვალისწინებით. მხოლოდ, საყოფაცხოვრებო პირობებზე, კვებასა და მიმოწერაზე მითითება არ არის საკმარისი სათანადო გარანტიების გასაჩენად.

14. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის ცვლილებები - წარმოდგენილი ცვლილების თანახმად კანონის მე-5 მუხლს ემატება ფ¹ ქვეპუნქტი- ქმნის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელ უწყებათაშორის საკოორდინაციო კომიტეტს, ამტკიცებს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციისა“ და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის იმპლემენტაციის ხელშემწყობ ერთიან სტრატეგიასა და შესაბამის სამოქმედო გეგმას და ზედამხედველობს მის შესრულებას“. მოცემულ ცვლილებასთან კავშირში უმჯობესი იქნება ასევე თუ მიეთითება უწყებათაშორის საკოორდინაციო კომიტეტის შემადგენლობასა და საქმიანობის წესთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია. ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათი კანონიერი წარმომადგენლებისა და შშმ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა.

რაც შეეხება 2021-2035 წლების ერთიანი სტრატეგიისა და წლიური სამოქმედო გეგმის შემუშავებას, უნდა აღინიშნოს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზაცია დინამიური სფეროა და სტრატეგია უფრო ნაკლებ პერიოდზე უნდა იყოს ორიენტირებული (მაგალითად, 5 წლიანი პერიოდზე). ამასთან, თუ გეგმები ერთწლიან პერიოდზეა გათვლილი, მაშინ უფრო მკაფიო მითითება უნდა გაკეთდეს მათი ყოველწლიურად განახლების საჭიროებაზე. ამასთან მიგვაჩნია, რომ უწყებათაშორის საკოორდინაციო კომიტეტის შექმნისთვის განსაზღვრული მაქსიმალური ვადა (2021 წლის 1 იანვრამდე) მისი ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე არის საკმაოდ ხანგრძლივი და უმჯობესი იქნება უფრო შემჭიდროვებული ვადის მითითება.

15. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონი- ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე, რომელიც მიზნად ისახავს უსინათლო, ყრუ, სმენადაქვეითებული ან წერა-კითხვის არმცოდნე პირის მიერ გარიგების წერილობითი ფორმით დადების პროცედურის დარეგულირებას.

ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს პარლამენტი გაითვალისწინებს ზემოაღნიშნულ შენიშვნებს და მიიღებს ისეთ კანონს, რომელიც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვას.

პატივისცემით,



ნინო ლომჯარია

A handwritten signature in blue ink, appearing to be 'Nino Lomjaria', written in a cursive style.

სახალხო დამცველი

.